PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი №2

შპს საზოგადოებრივი კოლეჯ „ამაგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „დენტალური საქმის ასისტირება“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრი: ნინო ჩომახაშვილი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის N 1277506 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი - ნინო ჩომახაშვილი- დაევალა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში მიმდინარე წლის 8 და 9 დეკემბერს, "დენტალური საქმის ასისტირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით ვიზიტი დაწესებულებაში.
ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება კოლეჯის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ კოლეჯ „ამაგის“ დამფუძნებელს, კოლეჯის დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პედაგოგებს და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი-A-C გარემო, B გარემო,ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნ. ვასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩომახაშვილი

PDF Eraser Free

შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ. პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება განხორციელდა ზუმის საშუალებით. თითოეული კლინიკა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარით, რაც გათვალისწინებული იყო ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმითა და ხელშეკრულებებით.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ დაფიქსირებულა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.-1. რეკომენდირებულია, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტი მოიცავდეს ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე შედეგებს ჩატარებული კვლევის შესახებ (პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადები, გამოყენებული ინსტრუმენტი, მონაწილეთა რაოდენობა და ა.შ.)

2.2.1-2. რეკომენდირებულია, მეტი მდგრადობისთვის დაწესებულებამ მოიძიოს კიდევ ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს ქირურგიის ასისტირება 2-ის პრაქტიკული მოდულის განხორციელებას.

2.2.1-3. რეკომენდირებულია, პირებს, რომლებსაც გაუფორმდა ხელშეკრულებები ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდეთ ტრენინგები სტუდენტთა შეფასების კომპონენტსა და მოდულური სწავლების თავისებურებებთან დაკავშირებით.

2.2.1-4. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის გადამზადება ინდ. გეგმებთან, სტუდენტთა შეფასებასა და მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით.

2.3.1-1.რეკომენდირებულია, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით პასუხისმგებელი პირები გაეცნონ საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს, ასახონ მიღებული შედეგები კვლევაში და იხელმძღვანელონ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისას.

2.4.1-1. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის ან/და კოლეჯის მარეგულირებელი დებულებით ზუსტად განსაზღვროს სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.1-4. რეკომენდირებულია, გაჩნდეს ზუსტი ჩანაწერი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში რა ვადაში უნდა მოხდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.

2.4.1-5. რეკომენდირებულია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩაიწეროს თითოეული მოდულის განმახორციელებელი პირი კვალიფიკაციის მითითებით, რომელიც პრაქტიკის ობიექტზე უზრუნველყოფს მოდულისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებას და პროფესიული სტუდენტების შეფასებას.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	დენტალური საქმის ასისტირება(სტომატოლოგის ასისტენტი)
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0911
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძანება N 00006512 29.10.21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. გორი ცხინვალის გზ. N 9
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 მოდულური / ქ. გორი ცხინვალის გზ. N 9
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	----
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	----
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პროგრამის დამატების გადაწყვეტილების მიღებამდე დაწესებულებამ განახორციელა ბაზრის მოკვლევა, რამაც დაადასტურა, რომ შრომის ბაზარზე მოთხოვნა იყო დენტალური საქმის ასისტირების პროფესიაზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თექვსმეტი სტომატოლოგიური კლინიკის წამყვანმა პერსონალმა, მათგან 88% აღნიშნა, რომ დაასაქმებს პირს პროფესიული განათლებით სტომატოლოგის ასისტენტის პოზიციაზე. დაწესებულებამ ასევე გამოკითხა მოსწავლეთა მშობლები, თუმცა კვლევაში არ ჩანს რამდენად ურჩევენ რესპოდენტები მათ შვილებს დენტალური საქმის ასისტირების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლას, რამდენი რესპოდენტი გამოიკითხა. კვლევაში ნათქვამია, რომ მშობლებს არ სურთ, რომ მათმა შვილებმა ისწავლონ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ამიტომაც დაწესებულებამ პროგრამის დამატების გადაწყვეტილება მიიღო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე. კვლევისას არ გამოკითხულა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებმაც უნდა ისწავლონ აღნიშნულ პროგრამაზე, შესაბამისად არ ჩანს აქვთ თუ არა პოტენციურ სტუდენტებს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის სურვილი.

დაწესებულებამ წარმოადგინა დასაბუთება პროგრამის დამატების საჭიროების შესახებ როგორც კონცეპტუალური და რესურსული, ასევე სამართლებრივი, ეკონომიკური და ოპერაციული მიზანშეწონილობის ჭრილში.

საგანმანათლებლო პროგრამა გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან და მჭიდრო კავშირშია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 მარტის #19 ბრძანებით დამტკიცებულ 2020-2026 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა ჯანდაცვისა და ვეტერინარიის სფეროში, ასევე კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა. „დენტალური საქმის ასისტირების“ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა სრულ თანხვედრაშია კოლეჯის საქმიანობასთან.

სტრატეგიული გეგმა, დაწესებულების მისია და წარმოდგენილი კვლევა ადასტურებს, რომ **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

<u>ექსპერტების რეკომენდაციაა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტი მოიცავდეს ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე შედეგებს ჩატარებული კვლევის შესახებ (პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადები, გამოყენებული ინსტრუმენტი, მონაწილეთა რაოდენობა და ა.შ.)</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, დენტალური საქმის ასისტირების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოუმენტის მქონე პირი - იმ შემთხვევაში დაიშვება პროგრმაზე თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. კოლეჯ“ამაგის“ დირექტორი მიერ დამტკიცებულ პროგრამაში არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შესაბამისად, კოლეჯს მიღების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაში მოდის მოქმედ ჩარჩო დოკუმენტთან. სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის # 6500 ბრძანებით და თანხვედრაშია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N42/ნ ბრძანებასთან. შესაბამისად, **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დასაბუთებას თითოეული პროგრამისათვის. გათვალისწინებულია ადამიანური და მატერიალური რესურსი, პრაქტიკის ობიექტების ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

4. პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსი, რომელიც მითითებულია მოდულებში, ხოლო მატერიალური რესურსის ჩამონათვალის დანართი, მოიცავს სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელ ინვენტარს, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობასა და მასალა-ნედლეულს, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
5. საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.
6. „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მარეგულირებელი დებულების მეხუთე მუხლის მეხუთე ქვეპუნქტის ე ნაწილით კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია დაამტკიცოს ყველა დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დენტალური ასისტირების საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის #6512

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბრძანებით, ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება „დენტალური საქმის ასისტირება“ ასრულებს იდენტიფიკატორის ფუნქციას - იძლევა სწორ მიმართულებას პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, არ არის ბუნდოვანი და შეესაბამება პროგრამის შინაარსს.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია „დენტალური საქმის ასისტირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის N6512 ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 1 ივლისის N64 ბრძანებით (ცვლილებები: კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 აგვისტოს N 3817 ბრძანება).

პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „დენტალური საქმის ასისტირება“ მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 85 კრედიტია, პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 115 კრედიტს. შესაბამისად, **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მისია;
2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სტრატეგიული განვითარების გეგმა(2020-2026წწ)
3. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი;
4. „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
5. „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება
7. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დენტალური საქმის ასისტირების (სტომატოლოგის ასისტენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ 2021 წლის 29 ოქტომბრის #6512 ბრძანება.
8. გასაუბრება

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საგანმანათლებლო პროგრამის „დენტალური საქმის ასისტირება“განხორციელება იგეგმება ქ.გორში ცხინვალის გზ. N 9 -ში. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით-40 პროფესიული სტუდენტი. ერთ მიღებაზე იგეგმება 20 პროფესიული სტუდენტის მიღება. A - C გარემო არის განთავსებული 306-ე აუდიტორიაში, რომელშიც არის 20 მაგიდა და სკამი და ერთი მასწავლებლის მაგიდა სკამით. აუდიტორია აღჭურვილია კომპიუტერითა და პროექტორით. კედელზე განთავსებულია თვალსაჩინოებები და დგას ერთი კარადა საჭირო ინვენტარით. B გარემო უზრუნველყოფილია 20 გამართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპიუტერით, რომელიც მიერთებულია ინტერნეტის ქსელში, არის სამუშაო ლეპტოპი მასწავლებლისთვის და პროექტორი. B გარემო საერთოა რამდენიმე პროგრამისთვის, დაწესებულებამ წარმოადგინა B გარემოთი სარგებლობის გრაფიკი, რითაც დასტურდება რომ შესაძლებელია რამდენიმე პროგრამამ გამოიყენოს ერთი გარემო, ისე რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავება. სასწავლო პრაქტიკა დაწესებულებას გატანილი აქვს სრულად პრაქტიკის ობიექტებზე. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 6 სამედიცინო დაწესებულებასთან, პანდემიიდან გამომდინარე, ვირუსის გავრცელების მაღალი რისკის გამო, პრაქტიკის ობიექტები დავათვალიერეთ დისტანციურად ზუმის საშუალებით. 6-ივე პრაქტიკის ობიექტი აღჭურვილია ყველა ინვენტარით, რომელიც დანართის სახით ახლავს გაფორმებულ ხელშეკრულებებს. აღნიშნული შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

2. დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება დადებული აქვს 8 ზოგადი მოდულის და 17 პროფესიული მოდულის განმახორციელებელ პირთან. რადგანაც დაწესებულება პრაქტიკის ნაწილის განხორციელებას მთლიანად პრაქტიკის ობიექტებზე გეგმავს. თითოეული მოდულისთვის ცალკეულ პრაქტიკის ობიექტზე მას ესაჭიროება ერთი განმახორციელებლი პირი,რომელთანაც დადებული აქვს კოლეჯს შრომითი ხელშეკრულება. დოკუმენტაციის კვლევის ეტაპზე, ექსპერტთა შეფასებით, რამდენიმე განმახორციელებელ პირს არ დაუდასტურდა კვალიფიკაცია, თუმცა ერთი შეხედვით, მდგრადობის თვალსაზრისით ეს პრობლემას არ ქმნიდა. გაუსაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ რამდენიმე პირს, რომელსაც არ ჰქონდა ორთოდონტის ასისტირების პრაქტიკული მოდულის განხორციელების კვალიფიკაცია, სასწავლო მოდულს ახორციელებდნენ იმ პრაქტიკის ობიექტებზე, რომლებთანაც დაწესებულება ყველაზე მეტი პროფესიული სტუდენტის მიმაგრებას გეგმავდა. ვიზიტის განმავლობაში დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა დენტალური საქმის ასისტირების საგანმანათლებლო პროგრამის დანართი 1 -სა და 2-ში. (9.12.2021 წლის #7778 ბრძანება). პრაქტიკის ობიექტმა, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, განმახორციელებელი პირი ჩაანაცვლა ორთოდონტის კვალიფიკაციის მქონე პირით, რომელთანაც გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება. პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულებით მათ აქვთ ვალდებულება , რომ პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირებით თავად უზრუნველყონ კოლეჯი. აღნიშნული ხელშეკრულების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ზემოთმოხსენიებული გარემოებების საფუძველზე დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული დანართი 2, რომელშიც შეცვალა ორთოდონტის ასისტირების მოდულის განმახორციელებელი პირები. აღნიშნულ პროგრამაზე ერთ ცვლაში პრაქტიკის ობიექტებს შეუძლია 12 პროფესიული სტუდენტის მიღება. სასწავლო გეგმაში შესული ცვლილების თანახმად, ორთოდონტის ასისტირების მოდულს ნაცვლად ოთხი კვირისა დაეთმობა 7 კვირა და სტუდენტები ორ ცვლაში გაივლიან აღნიშნულ მოდულს პრაქტიკის ობიექტებზე. ჯამში, შესაძლებელი იქნება ორთოდონტის ასისტირების მოდულის გავლა 24 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გეგმით, პრაქტიკული კომპონენტი განსაზღვრულია სწავლების მეორე წელს. შესაბამისად, 40 პროფესიული სტუდენტის მიღების შემთხვევაში-ერთ მიღებაზე 20 სტუდენტი- არ ქმნის დამაბრკოლებელ გარემოებას და ექსპერტთა შეფასებით, **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**
ექსპერტთა რეკომენდაციაა, მეტი მდრადობისთვის დაწესებულებამ მოიძიოს კიდევ ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს ქირურგიის ასისტირება 2-ის პრაქტიკული მოდულის განხორციელებას.

3. ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელ ყველა პირს უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია და სტუდენტთა შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით და გასაუბრებით.

ექსპერტთა რეკომენდაციაა პირებს, რომლებსაც გაუფორმდა ხელშეკრულებები ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდეთ ტრენინგები სტუდენტთა შეფასების კომპონენტსა და მოდულური სწავლების თავისებურებებთან დაკავშირებით.

4. გასაუბრებით და პირადი დოკუმენტაციის მიმოხილვის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს არ აქვს მოდულური სწავლების, ინდ.გეგმების შედგენის და სტუდენტთა შეფასების გამოცდილება, თუმცა იგი იცნობს დარგში არსებულ თანამედროვე მიდგომებს, უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია და ჩართული იყო პროგრამის შემუშავების პროცესში. მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა აზრით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

<u>ექსპერტთა რეკომენდაციაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის გადამზადება ინდ. გეგმებთან, სტუდენტთა შეფასებასა და მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით.</u>

5. კოლეჯის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეუფერხებელ ხელმისაწვდომობას საგანმანათლებლო პროგრამით,მოდულებით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსზე და მათ გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში. შემთხვევით შერჩევის პრინციპით გადამოწმდა დარგობრივი ლიტერატურა, როემლიც დაწესებულებას ჰქონდა როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონული სახით. სამკითხველო დარბაზში არის სტუდენტებისთვის გამოყოფილი სივრცე, რომელიც აღჭურვილია კომიუტერებით და უზრუნველყოფილია ინტერნეტით. ბიბლიოთეკართან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სტუდენტებისთვის დისტანციურად სწავლის პერიოდში საჭირო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიების მიწოდება ხდებოდა ელ.ფოსტის საშუალებით. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

6. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების მე-17 მუხლში გაწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის მექანიზმი , მათ შორის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სსსმ პირების წვდომას პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

7. დაწესებულებას შედგენილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაძლებლობას საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 16 პროფესიული სტუდენტი. **ერთ მიღებაზე 20 პროფესიული სტუდენტის მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა შეფასებით-პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
2. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
3. პროგრამის ბიუჯეტი;
4. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
5. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
6. ვიზუალური დათვალიერება;
7. გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ივნისის #2972 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია. დოკუმენტით გაწერილია ცალკეული პროგრამის მონიტორინგი, რომელიც ხორციელდება წელიწადში ორჯერ ხარისხის მენეჯერის მიერ. ხარისხის მენეჯერის მიერ მიწოდებულ ანგარიშს აანალიზებს კოლეჯის დირექტორი და იღებს შესაბამის ზომებს. მეთოდოლოგიით ასევე განსაზღვრულია წელიწადში ერთხელ კოლეჯის შეფასება პროფესიულ სტუდენთა ჩარიცხვის მაჩვენებლისა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მაჩვენებელის მიხედვით. იკვლევენ პროფესიულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მაჩვენებელსა და პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, აღრიცხავენ პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აანალიზებენ სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე გროვდება ინფორმაცია შიდა და გარე მობილობის, კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების მაჩვენებლის შესახებ. დაწესებულებას დირექტორის 2021 წლის 28 სექტემბრის #4767 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია ბაზრის კვლევის მეთოდები მოთხოვნადი პროფესიების გამოსავლენად. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციები უზრუნველყოფს მისი, როგორც ინსტიტუციის განვითარებას. სასწავლო პროცესის რეგულირების წესში განსაზღვრულია სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგის მექანიზმები. სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებაში ჩართულია კოლეჯის პროფესიული სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებელი პირები და ადმინისტრაცია. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით კითხვარის შემუშავებას ახდენს სამუშაო ჯგუფი და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად. სასწავლო პროცესის მენეჯერი ახორციელებს გამოკითხვის პროცესის წარმართვას. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ხორციელდება კოლეჯის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რაც მოიცავს: - მოდულის შეფასებას და სასწავლო რესურსების შეფასებას ,პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასებას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვა ხორციელდება კოლეჯის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რაც მოიცავს: - მოდულის განხორციელების შეფასებას; - სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებას; - სასწავლო რესურსების შეფასებას. - კოლეჯის ეფექტური საქმიანობის შეფასებას. სასწავლო პრაქტიკის ეფექტური განხორციელების მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის მენეჯერის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პერიოდულად პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ფარგლებში შემოწმების ფორმა შემუშავდება ინდივიდუალურად ხარისხის მენეჯერის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. კოლეჯის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მიზნით ხდება პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვა. ხარისხის მენეჯერი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს, რომელიც გაზიარებული იქნება დაინტერესებულ პირთათვის. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

<u>ექსპერტთა რეკომენდაციაა, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით გაეცნონ საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს, ასახონ მიღებული შედეგები კვლევაში და იხელმძღვანელონ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისას. ასევე გაფორმდეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ადგილობრივ დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამებს, მოხდეს საუკეთესო გამოცდილების გაზიარება პროგრამის შემდგომში განვითარებისა და დახვეწის მიზნით.-</u> ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების თაობაზე ადგილობრივ დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამებს დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტი, რომ ამ ეტაპზე მსგავს პროგრამას არ ახორციელებს არცერთი საგანმანათლებლო დაწესებულება. დენტალური საქმის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას: კბილის სატექნიკო საქმე, დენტალური საქმის ასისტირება და პირის ღრუს ჰიგიენის საქმე. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ინფორმაცია vet.emis.ge -ზე და უშუალოდ დენტალური საქმის ასისტირებას ამ ეტაპისთვის არ ახორციელებს არცერთი დაწესებულება. შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მოსაზრება და აღნიშნული რეკომენდაცია ამოღებულ იქნა დასკვნის დოკუმენტიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მენეჯერის მიერ ხდება კვლევის შედეგების ანალიზი. გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშები ატვირთულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. დაწესებულება საჭიროებისამებრ ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში, რაც დასტურდება დირექტორის ინდ. აქტებით. **ექსპერტთა შეფასებით პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია;
2. შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია;
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
4. ხარისხის მენეჯერის ანგარიშები;
5. გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა„დენტალური საქმის ასისტირების“ სასწავლო პროგრამა დაგეგმილია და მისი შექმნის პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით, თუმცა არ არის განსაზღვრული ვინ არის პასუხისმგებელი სასწავლო გეგმის შედგენაზე. კოლეჯ „ამაგის“ მარეგულირებელ დებულებაში პროგრამის ხელმძღვანელის ერთ-ერთი ფუქცია სასწავლო გეგმის შედგენაში დახმარების გაწევა, ხოლო პროფესიული მასწავლებლის ვალდებულებაა მოდულის და სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართოს სასწავლო პროცესი. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

<u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის ან/და კოლეჯის მარეგულირებელი დებულებით ზუსტად განსაზღვროს ვისი პასუხისმგებლობაა სასწავლო გეგმის შემუშავება.</u>

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს #3684 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის მარეგულირებელი წესი, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე, ითვალისწინებს სწავლების სინქრონულ მიდგომას და მოიცავს ადმინისტრირების საკითხებს, პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების უფლება-მოვალეობებს. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**
3. საგანმანათლებლო პროგრამა „დენტალური საქმის ასისტირების“ შემადგენელი მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების სარეკომენდაციო მეთოდებს, რომელიც არის თანამედროვე და უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პრაქტიკის ობიექტებთან მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს დარგში არსებული სიახლეების გაცნობასა და შემდგომში გამოყენებას.
4. სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა. პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ინკლუზიური განათლების სპეციალისტი დაკვირვების მიზნით, შეისწავლის გარემოებას. თუ ფაქტი დადასტურდა ხარისხის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკომენტში არ არის განსაზღვრული რა ვადაში მუშავდება დაწესებულების მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. აღნიშნული დებულების მე-17 მუხლის თანახმად, „საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას“.

<u>ექსპერტთა რეკომენდაციაა გაჩნდეს ზუსტი ჩანაწერი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში რა ვადაში უნდა მოხდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.</u>

5. დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რომლითაც განსაზღვრული პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა და მოდულები, რომლის ფარგლებშიც მოხდება სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება. ხელშეკრულებებს დანართის სახით თან ახლავს საჭირო რესურსების ჩამონათვალი, რაც აუცილებელია პრაქტიკის ობეიქტზე კონკრეტული მოდულების განსახორციელებლად. აქვე უნდა ითქვას, რომ პროფესიულ კოლეჯს პრაქტიკის ნაწილი სრულად გატანილი აქვს პრაქტიკის ობიექტზე. ხელშეკრულების თანახმად, პრაქტიკის ობიექტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პროფესიული დაწესებულება შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირით .პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებს აქვთ სრული მზაობა მიიღონ პროფესიული სტუდენტები ხელშეკრულებით გათვალსწინებულ მოდულებზე, რაც დასტურდება როგორც ხელშეკრულებით, ასევე გასაუბრებით. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

<u>ექსპერტების რეკომენდაციაა, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩაიწეროს თითოეული მოდულის განმახორციელებელი პირი კვალიფიკაციის მითითებით, რომელიც პრაქტიკის ობიექტზე უზრუნველყოფს მოდულისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებას და პროფესიული სტუდენტების შეფასებას.</u>

6. დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო, კოლეჯ „ამაგის“ რეგულირების წესით განსაზღვრულია უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამის თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, პროგრამის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთხოების პირობების შექმნას/დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება ;
2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მარეგულირებელი დებულება ;
3. პრაქტიკის ობეიქტებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
4. გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების თანახმად, სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას :სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმების, შეფასების მიმართულების, შეფასების ინსტრუმენტების შესახებ. ასევე უნდა მოიცავდეს შეფასების პროცესის აღწერასა და საჭირო რესურსს ,დავალების აღწერას, თან უნდა ახლდეს შეფასების სქემა და შეფასების მტკიცებულება ,ასევე საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი შეფასების პროცედურა, შესრულების მტკიცებულება და სწავლის შედეგების დადასტურების სქემა. **შესაბამისად, დაეწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**
2. დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის პროცედურების ზუსტ აღწერას , ასევე შექმნილია ვერიფიკაციის მონაწილეთა მოვალეობების განაწილების სქემა, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭირვალობასა და სამართლიანობას და გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტის დახვეწისათვის და შემდგომი განვითარებისათვის.
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის 25-ე მუხლის მე-8 პუქტით განსაზღვრულია, რომ კოლეჯი ვალდებულია მოდულების შედეგების შეფასების მტკიცებულებები შეინახოს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში და მტკიცებულებები უნდა ახდენდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.
4. პროფესიულ სტუდენთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის. სტუდენტები მიღებულ შეფასებას ადასტურებენ ხელმოწერით, შეფასების უწყისი მოიცავს ინფორმაციას ასევე სწავლის შედეგების შესახებ, შესაბამისად, შესაძლებელია სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა. ასევე, დაწესებულებას შექმნილი აქვს ელექტრონულად Google classroom-ში სტუდენტთა პორტფოლიო, რომელზეც წვდომა აქვთ ინდივიდუალურად სტუდენტებს და პროფესიული მასწავლებლებს. შესაბამისად, შესაძლებელია შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას მათი შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მაჩვენებლები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
2. ვიზუალური დათვალიერება;
3. გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

11.01.2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: